სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

F 264 ✓ 568

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამკუთხიანი განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.

რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი, დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 33

ხუთშაბათი, სექტემბრის 29

1921 წ.

მიხეილ, იგივე გაბუ, ლევანის ძე, ცუცუ ივანეს ასული, ლევან და ქეთევანა ლოლუა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ სექტემბრის 1-ლს მოულოდნელად გარდაიცვალა პირველის დ[ა], მეორეს მეუღლე და მესამეს მამიდა

## ელისაბედ ლევან ლოლუას ასული ანთელავასი,

რომელიც ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას ამა წლის ოქტომბრის 9-ს სოფ. ყულისკარში (ზუგდიდის მაზრა) სამინდოვრის საგვარეულო ეკლესიაში, სადაც დაკრძალულია მიცვალებულის ცხედარი.

---

გულდათუთქული მშობლები ალექსანდრე ივანეს ძე და ოლღა ნიკოლოზის ასული მათიაშვილები თავის შვილებით, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავისი დაუვიწყარი შვილის

## ნინას

გარდაცვალებას. ცხედარს სამოასვენებენ პარასკევს დილის 9 საათზე ბინიდან კალოუბნის ეკლესიაში.

---

გულდათუთქული მეუღლე ნინა დავითის ასული, შვილები: ალექსანდრე, გუგული, და ჩაჩანა, დედა ელისაბედი, და: ნინა, ნატალია და ემილია, ალექსის ასულნი, ძმები: სამუელ, და ვასილი ამისშვილი ევგენი, მეუღლით, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს, და მეგობრებს ძვირფასი

## გიორგი ალექსის ძის ანდღულაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მიხეილის სავადმყოფოდან საკუთარ ბინაზე საპიორის ქუჩა № 48 დღეს სექტემბრის 29 ს, საღამოს 5 საათზე პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.

---

გულდათუთქული მშობლები მარიამ ექვთიმეს ასული და ალექსანდრე ნიკოს ძე მიქაშავიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას მათი დაუვიწყარ პატარა

## ქეთინოს

რომლის დაკრძალვა მოხდება სექტემბრის 28-ს ს. საზანოში (შორაპნის მაზრა).

---

გულდათუთქული ბაბუა და ბებია ნიკო და გულნარა, ბიძები და ბიცოლა აკაკი, გრიგოლ, არჩილი, და არეთა და მამიდა თამარა მიქაშავიძეები მამიდები: ანნა და ნინა გორგასლიძეები და ალექსანდრა ჯაფარიძისა შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარი

## ქეთინოს

რომლის დაკრძალვა მოხდება სექტემბრის 28 ს ს. საზანოში (შორაპნის მაზრა).

---

## თანამედროვე კართაგენი

მსოფლიო ისტორიაში დიდ ეპოქებს ჰქმნის ისეთ ორ ძალთა ჭიდილი, რომელიც მსოფლიო ბატონობას ჩემულობს, აქეთ მიისწრაფვის და ამ ნიადაგზედ ერთი მეორეს უპირისპირდება. „ისტორიულ განვითარებაში ორი პოლიუსი იჩენს თავს, ორ ბანაკში გროვდება მოქმედი ძალები და შეურიგებელიც სისტემატიურად აფართოებს თავის გავლენის სფეროს. და როდესაც ეს სფეროები ერთმანეთს შეხვდებიან, ბრძოლა აუცილებელი ხდება. შეიძლება პირველ ეტაპებს არ ჰქონდეს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლის ხასიათი, მაგრამ შემდეგში ირკვევა, რომ ამ ორ ძალთა შორის ერთი ფატალურად განწირულია და აღგილი უნდა დაუთმოს მეტოქეს. ბრძოლას ხშირად ახანგრძლივებს ის გარემოება, რომ ძალა, რომელსაც გამარჯვება უწერია, არაა საკმაოდ მომზადებული თავის როლთა შესასრულებლად. ეს ნიშანია იმისა რომ მეტოქეთა დროე მომხდარა, სტიქიურად მოუმზადებლად. ამ შემთხვევაში, აცილებელი ხდება ორივე მხარისათვის თვით ბრძოლის პროცესში მზადება გამარჯვებისათვის და ბატონობის შენარჩუნებისათვის. ეს თავის მხრივ აჩვევს ორივე ხარისათვის შეგნების აუცილებლობას, ბრძოლა ცდეს პერიოდულ ხასიათს, ხან ზავით, ხან შეტევა იწყება.

მებრძოლი ძალები კარგად ხედავენ შეურიგებლობას და მუდამ ახსოვთ, რომ კართაგენი უნდა დაინგრეს. და ზავის პერიოდსაც ამისთვის იყენებენ. ახალი საბრძოლო, გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყებად ემზადებიან. აქ ზავი თვალთმაქცობაა, მოჩვენებითია, ვინაიდან ორივე მხარე ცდილობს ზავი იმისათვის გამოიყენოს. ორივე მხარე ცდილობს რაც შეიძლება მეტი ძალა დააგროვოს თავისთვის მხარეზე და დაასუსტოს მოპირდაპირე, გადაბიროს მის მომხრეები. საშუალებებზედ ლაპარაკი აქ ზედმეტია. მიზანი ისეთი დიდია ბრძოლა იმდენად დაუნდობელი, რომ ალარავითარ საშუალებებს არ ერიდებიან.

ასეთი ახალი ეპოქა, ეპოქა დიდი ბრძოლებისა მსოფლიო ბატონობის მოსაპოებლად დაიწყო რუსეთის რევოლუციამ. მას დაუპირდაპირდა ანტანტა, პერსპექტივები ორივეს გათვალისწინებული აქვს. რუსეთმა მსოფლიო მაშტაბით დააყენა საკითხი, თავი მსოფლიო რევოლუციას შეაფარა და ერთა ლიგის საპასუხოთ III ინტერნაციონალი შექმნა. ანტანტა ერთა ლიგის საშუალებით ცდილობს მიიმხროს რაც შეიძლება მეტი მებრძოლი ძალები და თავის გავლენის ქვეშ დააყენოს მეტი სახელმწიფოები. მაგრამ ანტანტის ბუნება ისეთია, რომ მას ერთგული არავინა ჰყავს. იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელიც აუცილებლად ყველეფს, ვინც კი მის სფეროში ამოჰყოფს თავსა, ანტანტას უჯაროდ სტოვებს. მას საკმაოთა აქვს ომისათვის საჭირო ფული და იარაღი, მაგრამ არ ყავს ლაშქარი. მისგან გაყვლეფილი ხალხი არ იბრძოლებს ბატონობის გაძლიერებისათვის. ანტანტა კართაგენის მდგომარეობაშია. როდესაც რომ, კართაგენს შეეტაკა, მაშინ უკანასკნელის სამფლობელო უფრო ვრცელი იყო, ვიდრე რომისა. მაგრამ ვაჭრებისა და კაპიტალისტების რესპუბლიკა, კართაგენი, როგორც ექსპლოატატორი თავის კოლონიებისა არ იყო უზრუნველყოფილი ერთგული მომხრეებით. კართაგენს ვერ უშველა ჰანიბალის გენიოსობამ და დამარცხდა.

ეს დღე მოელის ანტანტის ამ თანამედროვე კართაგენს, ვაჭრების და კაპიტალისტების მსოფლიო კოალიციას. ის ვერ პოულობს ერთგულ მებრძოლებს თავის ლაშქარში და ბრძოლას გაურბის. ცდილობს რუსეთის დასუსტებას, მფარველობს სიტყვით მცირე ერებს, მაგრამ ნამდვილი მფარველობა მისი არავისა სწამს.

პოლონეთის ულტიმატუმი რუსეთისადმი ერთი ეპიზოდია ამ შეუწყვეტელი ბრძოლისა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ მოაგონებს და გაამეორებინებს რუსეთს, რომ კართაგენი უნდა დაინგრეს.

---

## ფედერაციისკენ

II.

ამიერკავკასიის დ მოუკიდებელი, ცხოვრება არ შეუძლია; მით უმეტეს აზერბეიჯანს, სომხეთს და საქართველოს. ამიერკავკასია უნდა იყოს ან ანტანტასთან, როგორც იყო მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატისტების დროს, ან რევოლუციონურ რუსეთთან, როგორც იყო რევოლუციის პირველ დღეებში და არის ახლა.

ეს არაა ჩვენზე დამოკიდებული, არამედ კაპიტალისტურ წყობილებიდან გამომდინარეობს. ჟორდანია-ხატისოვი-უსუბეკოვი ევროპიულ იმპერიალისტების ნების მარტო აღმსრულებელნი იყვნენ. ევროპის „ნამესტნიკები“ (ჰასკელი და სხ.) მიმართავდნენ ჩვენს ქვეყანას. მენშევიკურ საქართველოს, როგორც აგრეთვე დაშნაკურ სომხეთის სამხედრო პროგრამებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეიმუშავებდნენ საფრანგეთის და ინგლისის გენერლები; გენერალი კვინიტაძე მოქმედობდა (ეს ისტორიული ფაქტია) ფრანგთა მხედართა ჩვენებებით.

უდავო სიმართლეა ყველა სოციალისტისთვის, რომ წვრილი სახელმწიფოთა „დამოუკიდებლობა“ ცარიელი სიტყვაა და მათსინამდვილეში იპოვით ან ამა თუ იმ დიდ სახელმწიფოს ბრჭყალებში, რომელსაც მიაქვს წვრილ ხალხების სისხლი თავისი გრომებისთვის, ცინიკურად გამოჰყავს ომის ველზე „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“ შეუგნებელი მასსები სხვა და სხვა ყალბი ნიღაბებით. ევროპიულ კაპიტალის ბოროტმოქმედებამ მიაღწია იმდენად არა ნახულ უსირცხვილობას, რომ ერთ და იმავე ჯიბიდან რაზმავენ მეომარ ორ მხარეს, იარაღით და ფულით ეხმარებიან ხან ერთს, ხან მეორეს, რათა ხალხების შორის პოთხარი ნ საუკუნო ომი.

ანტანტის ერთი წევრი, მაგალითად, ინგლისი ეხმარება საბერძნეთს ქემალისტების წინააღმდეგ; მეორე წევრი, საფრანგეთი იტალიასთან ერთად—ეშველება ქემალს საბერძნეთის წინააღმდეგ...

ბალკანების ყველა წვრილ სახელმწიფოთა სოციალისტური პარტიები ათიწლეია მოითხოვენ ბალკანეთის ხალხთა ფედერაციას. ამ დამხსნელ იდეის ბელადია ბალკანებში, ჩვენი ცნობილი ამხანაგი რაკოვსკი. რუმინელი, ბულგარელი, სერბიელი, ბერძნის მუშები და მშრომელი გლეხობა გრძნობენ, რომ ერთად ერთი საშუალება განთავისუფლებისა ევროპიელთა ექსპლოატაციისგან ბალკანეთის ფედერაციაა.

მაგრამ ფედერაცია ხელშესაყრელი არ არის „ეროვნულ“ ბურჟუაზიისათვის, იქაურ მენშევიკების და დაშნაკელებისთვის, მის წინააღმდეგ არიან აგრეთვე კაპიტალისტური დიდი სახელმწიფოები.

ევროპიულ იმპერიალიზმმა მენშევიკების, დაშნაკელების, მუსავატისტების ხელით შეჰქნა ამიერკავკასიაში მეორე ბალკანები.

ჟორდანიამ, ხატისოვმა, უსუბეკოვმა უმჯობესობად ნახეს მიეღოთ „მაშენიკებთა“ ლიგა, ვიდრე რევოლუციონურ რუსეთის პროლეტარიატი. მაგრამ, საბედნიეროთ, ამიერკავკასიამ შედარებით სწრაფად გადიგდო კონტრ-რევოლუციონური უღელი და შევიდა პროლეტარულ რუსეთის წიაღში.

ამიერკავკასიის ფედერაცია ჩვენი ქვეყნის რევოლუციონური მოწოდებაა, რომელიც გამომდინარეობს, ჩვენი მუშათა კლასის და რევოლუციის სასიცოცხლო მოთხოვნილებიდან.

საკითხია, თუ როგორ წარმოგვიდგენია ჩვენ ეგ ფედერაცია? როგორც კეთილი მჭიდრო კავშირი—თუ უფრო მეტად დაახლოვებული ერთად მოქმედობა, თუ გინდათ შეერთება (слияние) სამზე მეტი ეტნოგრაფიულ-ეკონომიური კანტონებისა.

გავშინჯოთ ჯერ პირველი საკითხი. ამ ერკავკასიის ხალხნი ისე არიან ერთმანეთში შერეული, ერების და ტომების ეტნოგრაფიულ-ისტორიული დალაგება ძალიან ძნელია, შეუძლებელიცაა გაუსვათ ეტნოგრაფიულ თვალსაზრისით ყველასთვის დამაკმაყოფილებელი სწორი სასაზღვრო ხაზი: უკეთუ მოხერხდებოდეს ეტნოგრაფიულ ხაზების შეთანხმებულად გასმა. მაინც და მაინც ეკონომიური ფაქტორები გვაიძულებენ ყოველ დღე ეს ხელოვნურად გაყოფილი ნაწილები, რადგან ძალიან ხშირად სხვა და სხვა ეტნოგრაფიულ შემადგენლების მქონე ტერიტორიები წარმოადგენენ როგორც ეკონომიური განუყოფელი ერთ მთლიანობას და ერთი ნაწილი ვერ შესძლებს იარსებოს უმეოროდ. ავიღოთ მაგალითად ბათომის ოლქი, წყაროებიდი და ყაზახიცდებიან. როცა ჰგონიათ, რომ მთას შეუძლია იცხოვროს ბარით და ან პირიქით, რომ შეიძლება მთიანი ყარაბაღის მოჭრა და სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა, ველური ნაწილის კი მეორისთვის მიცემა და შემდეგ ნორმალური ცხოვრება შეუძლებელია.

არ შეიძლება აგრეთვე ბათომის ოლქის მოწყვეტა საქართველოსაგან იმ მიზეზით მხოლოდ, რომ იქ ქართული ელემენტი დიდ უმცირესობას წარმოადგენს.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ამიერკავკასიის ქართულ, სომხურ და თურქულ პატარა სახელმწიფოთა ცდა, რომ შეექმნათ სამი განცალკევებული ტერიტორია სამი ეროვნული კანტონი—საშინლად დამარცხდა და იარაღითაც ვერ შეძლეს გაეწმინდათ და შეექმნათ საჭირო მრგვალი ტერიტორია.

საქართველოში ჯუღელის ბანდები ცეცხლითა და მახვილით „ქვეშევრდომობაში“ აგდებდენ ოსებს და აფხაზებს, აჭარლებს და შულავერელებს და ხაჩენელებს, ახალქალაქელებს და ლორეებს (ნახე მისი „тяжелый крест“), რომ შეექმნათ ამიერკავკასიაში ქართული ერთნაირი კანტონი.

სომხეთში დროომ, იაპონმა და დალიყაზარამ და სხვ. სწმინდეს უცხო ელემენტებიდან და ყულეფდნენ აბარანს, ზანგეზურს, ჩაგრავდნენ თვით რუსულ და ბერძნულ სოფლებს ერთნაირ ტერიტორიის შექმნის მიზანით.

აზერბეიჯანის ყაჩაღი სულთანოვი ოსმალურ აგენტებთან ერთად აგრეთვე სწმენდდა სომეხ ელემენტებიდან აზერბეიჯანს, ანგრევდა არეშს, ყარაბაღს, განჯას ტერიტორიის შესაქმნელათ.

მაგრამ მათგან რომელმა მიაღწია თავის მიზანს? არა და ათასჯერ არა.

დღეს, როცა საბჭოთა ხელისუფლების წყალობით ამიერკავკასიაში შეიქმნენ შედარებით ნორმალური და მშვიდობიანი პირობები, როცა არ შეუძლიათ დაუსჯელად მახვილით ამოწყვიტონ ეს ან ის სოფელი, ხალხნი მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამა და ამ ეროვნებას ეკუთვნიან, რომლის თვალები და წარბები არ მოსწონთ მენშევიკს, დაშნაკს ან მუსავატს,—დღეს აზერბეიჯანიდან განდევნილი, გაძარცული და სისხლში ამოსვრილი ნუხის და ყარაბახის მშრომელი გლეხი თავისუფლად ისწრაფვება სომხეთიდან აზერბეიჯანში წასვლას, ხელს იღებს სომხეთის რამდენი ათასი დესიატინა მიწებზე და უბრუნდება თავის მთებს.

იგივე ხდება თურქულ სოფლებშიაც, ალბაბიდან და ზანგიბასარიდან გაგდებული თურქული მასსა, რომელშიც ჯერ ცოცხალ დაშნაკელ ხმაპეტების საშინელებათა აჩრდილი გამაგრდა, თუ არა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დაბრუნდა თავის მიწა-წყალში და ხელი აიღო ოსმალეთის უფრო მეტად ნოყიერ და სიდიდით უფრო მეტი თავისუფალ მიწებზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გააჩერა მენშევიკური კოლონიზატორული პოლიტიკა, აფხაზებმა და ოსებმა, აჭარლებმა და სომხებმა იგრძნეს თავიანთ თავი ერთუფლებიან მოქალაქეებად იმ მიწისა, რომელზედაც ცხოვრობენ, ბოლო მოეღო აგრეთვე ყარაიაზის და ბორჩალოს ოლქების გაქართველებას.

აფხაზეთი თავისუფალია, სხვა ერების ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნილებებს ეძლევა აგრეთვე დაკმაყოფილება. ამ გვარად ჯუღელის, დროის, სულთანოვის ხმალი, ჟორდანიის, ხატისიანის, უსუბეკოვის ორგული და ერის მომტრე დიპლომატია, სრულიად დამარცხდა. მენშევიკებს, დაშნაკელებს და მუსავათისტებს არ მოუხერხდათ ქართველ სომეხ, თურქულ, აფხაზის, ოსის, აჭარის, რუსულ, ბერძნულ და სხვა სოფლურ მასსების ნების წინააღმდეგ შეექმნათ თავიანთვის განკალკევებული მშვენიერ კუნძულის, ეტნოგრაფიულად გახაზული სამი „სამშობლო“ განუყოფელი ამიერკავკასიაში.

მ. ხარიტანი.

(დასასრული იქნება)

---

## ქალთა ორგანიზაციის საკითხი საქართველოში

2.

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ის ტენდენცია, რომელმაც დაშალა ქალთა საერთო ორგანიზაციები და კლასობრივ ნიადაგზე ჩამოაყალიბა, როგორც ბურჟუაზიული, ისე სოციალისტური ელემენტები.

მაგრამ უფრო საინტერესოა ვიცოდეთ რა შედეგს მიაღწია ქალთა ორგანიზაციის ბრძოლამ პოლიტიკური უფლების მოპოვების საქმეში.

კაპიტალისტურმა წარმოებამ ქალი მოაშორა ოჯახის კერას, იგი ქარხნის მანქანასთან დააყენა და მისი ენერგიის ექსპლოატაცია იწყო. ქალის შრომის გამოყენებამ შექმნა „მუშათა დიდი კანტინგენტი, რომელიც კონკურენციას უწევდა ვაჟ მუშებს და იაფ ფასებში ჰყიდდა თავის სამუშაო ენერგიას.

ქალის ორგანიზაციების შექმნას კაპიტალისტურმა წარმოებამ, თავისდა უნებურად შეუწყო ხელი. საქართველო კანონმდებლობიდან ქალმა ვერ მიიღო სამოქალაქო უფლებები, რომელნიც მას დააკმაყოფილებდა და ცხადია საკუთარი ძალით უნდა ებრძოლა მას თავის უფლებათა მოპოვებისათვის.

მაგრამ თუ მას სჭირდებოდა ბრძოლა, როგორც მუშას, ეკონომიკურ ჩაგვრის წინააღმდეგ, მას სჭირდებოდა აგრეთვე ბრძოლა, როგორც ქალის პოლიტიკური უფლების მოპოვებისათვის.

ამ ორმაგი ბრძოლით უნდა გამოსულიყო ქალთა ორგანიზაცია. მას უნდა მოენახა ის ძალა, რომელთანაც ჰქონდა საერთო ინტერესები და საერთო ძალით შეძლება მიეცემოდათ მეტი რეზულტა-

ქის მიღებისა. ასეთი ძალა აუცილებლად მუშათა კლასი უნდა ყოფილიყო, რომელთან ერთად მუშა ქალებს შეეძლოთ ბრძოლა, როგორც ეკონომიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ისე ქალთა პოლიტიკური უფლებების მოპოებისათვის.

მაგრამ ქალთა ორგანიზაცია იმ თავითვე ყალბ ნიადაგზე აშენდა. მან თავი მოუყარა მხოლოდ ქალებს, რომელიც ჭრელი იყო თავისი კლასობრივი ინტერესების მიხედვით. ცხადია ასეთი ორგანიზაცია, რომელსაც ერთა მიზანი და ერთი გზა არ ქონდა მალე უნდა დაშლილიყო და როგორც პირველ წერილში დავინახეთ ეს ასეც მოხდა.

ქალის მონობის საფუძველი კაპიტალისტური წყობილების ხანამ ახალ ფორმებში ჩამოასხა. კაპიტალიზმა არა მარტო ოჯახი დაანგრია, ქალი მოაშორა თავის კერას, არა მარტო მოაქცია იგი ქარხნის მძიმე ატმოსფერაში, არამედ ყოველივე ამას გარეშე საშინელი სისწრაფით გაავრცელა ახალი პროფესია—პროსტიტუცია, რომელმაც მიწასთან გაასწორა ქალის პიროვნება და ყოველ ცხოველზე უფრო დაბლა დააყენა იგი.

აშკარაა ყოველივე ამისათვის ბრძოლა უნდა მიმართული ყოფილიყო უმთავრესად კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რადგან კაპიტალიზმი იყო ის რეზერვუარი საიდანაც ესოდენ მრავლად გამოდიოდა ახალ-ახალი ფორმა ქალის პიროვნების ღვცემისა, დამცირებისა, მონობისა.

ამ ბრძოლაში მუშა ქალთა ორგანიზაცია ერთ-ერთი ძალა უნდა ყოფილიყო რომლის მიზანი კაპიტალიზმის დამსხვრევა იქნებოდა, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა დაკავშირებოდა „კაპიტალიზმის მესაფლავე“ კლასს, მშრომელ მასას, რადგან ქალთა ორგანიზაციები დამოუკიდებლად ვერავითარ შეტაკებაში ვერ ჰქმნოდი ის „ძალა“, რომელიც მარტო დაამსხვრევდა კაპიტალისტურ წყობილებას. მაგრამ ქალთა ორგანიზაციებმა ვერ გაითვალისწინეს თავისი როლი მუშათა მოძრაობაში, ისინი არ დაუკავშირდნენ მუშათა კლასს, გააჩაღეს ბრძოლა დამოუკიდებლად და როდესაც მოსალოდნელიც იყო ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს.

დიდი იყო გმირობა და ალტყინება ქალთა ორგანიზაციებისა, დიდი დემონსტრაციები, დიდი პროტესტები, კრებები და ყრილობები წარმოშვა ქალთა მოძრაობამ, მაგრამ მან ვერ მოიტანა ის შედეგი, რისთვის იყო ასეთი ორომტრიალი გაჩაღებული.

ჩვენ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით ქალთა ბრძოლის მეთოდების შესახებ, თორემ შევხვდით აღნიშვნა ბევრი დადებითი მხარისა და რევოლიუციური თავგანწირულებისა, მაგრამ აგრეთვე ბევრი კურიოზებისა, რომელნიც ესოდენ ბლომად მოიპოვება ქალთა მოძრაობის ისტორიაში,

რასაკვირველია, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ქალთა მოძრაობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც კულტურ განმანათლებელ მოძრაობას, მაგრამ ისეთივე მნიშვნელობა მან ვერ მოიპოვა, როგორც სოციალ-პოლიტიკურმა მიმართულებამ.

მართალია ნორვეგიაში, საბჭ. ამერიკაში და ფინლანდიის ქალებმა მოიპოვეს პოლიტიკური უფლებები, მაგრამ ეს იყო შედეგი არა ქალთა ბრძოლისა, არამედ მთელი მუშათა კლასის ბრძოლისა.

არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტიც, რომ ქალები ცდილობდნენ ბრძოლას არა მარტო პოლიტიკური უფლებებისათვის, არამედ ისინი აწარმოებდნენ ბრძოლის ვაჟების წინააღმდეგ. იმდენათ დიდი უფსკრული გათხარეს ხელოვნურად ვაჟებსა და ქალებს შორის, რომ აბსოლიუტური ხდობა და საერთო საქმის საერთო ძალით კეთება არ სურდათ ვაჟებთან ერთად. რასაკვირველია ასეთი ტენდენცია დიდათ საზარალო იყო, როგორც საერთოდ მუშათა კლასის ძალებისათვის, ისე კერძოდ კიდევ მეტად საზარალო იყო ქალთა ინტერესებისათვისაც.

დღესაც ბევრი ქალია, რო მელსაც გულწრფელად სწამს სოციალიზმის იდეა, რომელიც არ კმაყოფილდება მეშჩანური სალისკვეთებით და ბრძოლისათვის მოუწოდებს მუშა ქალებს. სწამს ქალთა დამოუკიდებელი ბრძოლის გაჩაღება, რა თქმა უნდა ეს ყოვლად მიუღებელია და საქმისათვის არა სასარგებლო.

ისტორიის გაკვეთილი უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ. აქ არ უნდა დაიხარჯოს არც ერთი ადამიანის ძალა, სადაც ნაყოფი ნულს შეედრება. იმ ფრონტზედ არ უნდა დავხარჯოთ ჩვენი ენერგია, რომელიც ჩვენ დამარცხებას აუცილებლობას გვპირდება. ისტორია მოვლენათა მექანიური დალაგება კი არ არის, იგი არც ომების აღწერაა, არამედ პოლიტიკის აკადემიაა და ვინც ამ აკადემიაში გამოცდას ვერ ჩააბარებს, იგი პოლიტიკურ მოღვაწეობის ასპარეზზედ დამარცხდება.

ისტორია ბარომეტრია სოციალ ძალთა დინამიკისა და ვისაც სურს თავისი მიზნების განადლება იგი ძალთა კლასიფიკაციას უნდა შეუდგეს, უნდა გამონახოს თანასწორი და თანაბარი მიზნიანი ძალა, უნდა დაუკავშირდეს მას, რომ საბოლოო გამარჯვება განამტკიცოს.

ქალთა ორგანიზაციის საკითხიც, ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც 20 საუკუნეში არსებითად უნდა გადაიჭრას და გარკვეული გზით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ დიდ ისტორიულ პროცესში, რომელიც დღეს ჩვენს სინამდვილეში ვითარდება.

ამისათვის გარკვეული უნდა იქნეს ქალთა მოძრაობის როლი. მისი ადგილი სოციალ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა იერარქიაში და მისი მიზნები საერთო იდეალში

როგორი უნდა იქნეს ქალთა მოძრაობის ხასიათი ჩვენში და როგორი უნდა იყოს ქალთა ორგანიზაციის სტრუქტურა?

ამაზედ შემდეგ.

ხერ. ამაღლობელი.

## L'internationale

(ფრანგულიდან *)

დღეს გადამწყვეტი ბრძოლა გვაქვს, ძმებო,
შევერთდეთ, თუ გვსურს თავისა შველა!
ხვალ გაიგონებთ ინტერნაციონალს,
მთელს სამყაროში მღეროდეს ყველა!

—

აღსდეგ! ამ ქვეყნად წყევლით შობილო,
აღსდეგ! მშიერო ნეტავ რას ელი?!
აღშფოთებული ჩვენი გონების,
აღმოხეთქაა უკანასკნელი!
წარსული უნდა ძირში აღმოფხვრათ,
ბრბოვ—მონებისავ აღსდეგ! აღსდეგით!
მსოფლიოს სახე გამოეცვლება,
დღეს არარანი კაცად გავხდებით!

—

არც ღმერთი, მეფე, არცა გმირი,
ხედავთ არ არის ჩვენი დამხსნელი,
ჩვენივე ძალით ვუშველოთ თავსა,
მოვსპოთ მონება სულის ამხდელი!
ფხიზელ გონებით ჩამოვიშოროთ
ყელს მობჯენილი მტაცებლის ხელი,
დავბეროთ ძმებო, მაგრად საბერველს,
დავარტყათ რკინას სანამ არს ცხელი!

—

სახელმწიფო გვსრესს, კანონი სტყუის,
ხარკი სისხლსა სწოვს ჩაგრულთ-უბედურთ,
მდიდარს არა აქვს მოვალეობა,
ღარიბს უფლებას, ვინ მისცემს ბედკრულთ!
კმარა ამდენი ტანჯვა, მოთმენა,
სხვა კანონი აქვს თანასწორობას,
უვალდებულო არ არს უფლება,
უფლება ითხოვს მოვალეობას.

—

რკინის გზების და მადაროთ მეფეთ,
დიდება ხელში, რომ ჩაუგდიათ,
რა შეუქმნიათ ნეტავ ამ ქვეყნად,
თუ არა შრომა გაუქურდიათ?!
თვის სალაროში მტაცებელ ხროვას,
უწყვიათ ჩვენი ოფლით მოგება,
მოვითხოვთ მათგან მის დაბრუნებას,
ხალხს მხოლოდ ის გვსურს, რაც მას ეკუთვნება.

—

მეფენი მუდამ კვამლში გვახრჩობენ,
მათ ჰქონდეთ ომი, ჩვენ კი ვართ ძმები,
გაფიცვით დავხვდეთ ყველგან ლაშქრობას,
მივფანტ მოვფანტოთ მისი რაზმები!

და თუ ახირდენ კაცის მჭამლები,
რომ გავხდეთ მათთვის ომის გმირებათ,
ჩვენი ტყვიებით ჩვენსავე სარდლებს,
უმალვე გული გაეგმირებათ!

—

მუშებო, გლეხნო იცოდეთ ჩვენ ვართ,
მშრომელთა შორის დიდი ნაწილი,
ეს დედამიწა,—ჩვენია, ჩვენი,
უსაქმოთ ჰპოვოს სხვაგან ადგილი!

ერთ დილით ჩვენი ხორცით მაძღარნი
ყორან-სვავები, თუ გასწყდებიან!
მზე მაინც ქვეყნად აღმობრწყინდება
მისი სხივები არ ჩაქრებიან!

—

დღეს გადამწყვეტი ძმებო, ბრძოლა გვაქვს,
შევერთდეთ, თუ გვსურს თავისა შველა,
ხვალ გაიგონებთ მთელს სამყაროში,
ინტერნაციონალს მღეროდეს ყველა!

კატო მიქელაძე.

*) ვბეჭდავთ ამ ლექსს, როგორც დედანთან შედმიწევნით დაახლოვებულს.

## ახალი ამბები

— ცირკი. ჯერ-ჯერობით ცირკი გადაცემულ იქმნა რაბინის სრულს განკარგულებაში.

— თეატრის ბილეთები. აკადემიური ცენტრის თეატრალურმა ქვეგანყოფილებამ განაწესრიგა საბოლოოდ ადგილები ტფილისის სახელმწიფო თეატრებში სახელმწიფო დაწესებულებებისათვის.

— ტრანსპორტი. ამ დღეებში შესდგა ტეხნიკური თათბირი ინჟენერებისა და ტეხნიკებისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების რკინის გზაზე ტრანსპორტის გადიდების შესახებ. დადგენილ იქმნა აღიძრას შუამდგომლობა, რომ სასწრაფოდ ნება დართონ ნავთის მილებით ამოქაჩვისა კეროსინის მაგიერ რაიონებში ბაქოდან სად. ალტალამდის. კეროსინი ამ რაიონიდან განზრახულია იქმნას გადმოტანილი ცისტერნებით.

## რუსეთი

მოსკოვი. „პრავდა“ იძლევა ცნობებს ბავშვთა მდგომარეობის შესახებ დამშეულ გუბერნიებში ის ბავშვთა მოსახლეობაც კი, რომლებიც იღებენ ულუფას, ჯანმრთელობისა და განათლების კომისარიატებიდგან, განიცდიან მოუსავლობის ულმობელ შედეგებს.

განსაკუთრებულ გაჭირვებას განიცდიან უპატრონოდ მიტოვებული ბავშვები, რომელთა რიცხვიც ყოველდღე იზრდება, და რომელთა დაკმაყოფილებასაც საბავშვო დაწესებულებანი ვერ ახდიან. სამარაში აგვისტოს განმავლობაში ყოველდღიურად მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებს ემატება 200 ბავშვამდე, რომლის 40 პროც. სოფლის მცხოვრებთაგან შესდგება. პირველი აგვისტოსათვის განათლების კომისარიატის ბავშვთა თავშესაფარში ითვლებოდა 40.000 ბავშვამდე. აგვისტოს 15-მდე ეს რიცხვი გაიზარდა 60 ათასამდე, სარატოვის გუბერნიაში ბავშვთა თავშესაფარში ირიცხება 16 ათას ბავშვამდე, ცარიცინის გუბერნიაში 10 ათასზე მეტი, ასტრახანისა—7000. მშობლებს მოჰყავთ სოფლებიდგან ბავშვები და უპატრონოდ სტოვებენ ქალაქებში. საბაზრო დღეებში უპატრონო ბავშვთა რიცხვი იზრდება 2—3-ჯერ. ბავშვთა დამცველ დაწესებულებებს ხშირად მიუგდებენ ხოლმე ბავშვებს, რაიც დღითი დღე იზრდება შემდეგის წესით. სამარაში იანვარში ასეთ მოვლენას ქონდა ადგილი 10-ჯერ, თებერვალში 28, მარტში 34, აპრილში 38, მაისში 70, ივნისში 121, ივლისში 152, ხოლო აგვისტოში მიგდებულ ბავშვთა რიცხვი ყოველდღიურად უდრის 15, საბავშვო დაწესებულებანი გავსებულნი არიან, სარატოვში ხშირად უარს ეუბნებიან ბავშვებს, უადგილობის გამო სამარაში, ბავშვები ხშირად იხოცებიან სიმშილის გამო. ძნელია გამორკვევა ბავშვთა ვინაობისა და სადაურები არიან, ბავშვები არ ამბობენ, რადგან ეშინიათ უკან არ გადაგზავნონ.

საბინაო განყოფილებანი უარს ამბობენ შენობების აღრიცხვაზე, ასეთების უქონლობის გამო. შეუძლებელია ახალი საბავშვო სახლების დაარსება. არ არის საკმაო რიცხვი საწოლებისა, მაგიდებისა და სკამებისა. სამარაში ზოგიერთ თავშესაფარში ბავშვები იატაკზე ჰყრიან, ასტრახანში თავშესაფარებში 3—4 ბავშვს უხდება ერთი რკინის ფინჯანით სარგებლობა სადილისა და ჩაისათვის. ბავშვების გამოკვება ცუდად სწარმოებს სურსათის უქონლობისა გამო; ყოველივე ეს საშინლად მოქმედობს ბავშვების ჯანმრთელობაზე და დიდი პროცენტი ავადმყოფობს, სისხლ-ნაკლულოვანებისა, ჭლექისა, ციებისა და კანის ავადმყოფობით. დახმარება აუცილებელია. საჭიროა ფული, რომლითაც შესაძლებელი გახდება ზოგიერთი რამ შეძენილ იქმნეს დამშეულ გუბერნიებში.

## უცხოეთი

ფრანგული პრესა ბრალსა სდებს საბჭოთა მთავრობას საფრანგეთის სიძულვილში. ამის საპასუხოდ საბჭოთა გაზეთები აღნიშნავენ: „ჩვენ ვეკითხებით არა მარტო ფრანგთა მუშებს, აგრეთვე წვრილ ბურჟუაზიას საფრანგეთისას, შესაძლებელია თუ ... იქმნას მშიერ ხალხ... ლოდნელი ... ბული ვართ, რომ ... ჰუმანიური ... ბურჟუაზია შეიგნებს, თუ რა ... ბას უმზადებს რუსეთისა და მ... მსოფლიოს მუშებს ახალი ომით ბრიანის დამქაშები.

პოლონეთში მარშალ პილსუდსკის რაინდული ავანტიურისტების აღსასრული უკვე მოახლოვებულია, ვინაიდან პოლონეთი შევიწროებულია გაფიცვებით ოფიცრები და ჯარის კაცები ჯამაგირს ვეღარ ღებულობენ.

თუ რომ პოლონეთი შეასრულებს კანონიერ მოთხოვნილებას საბჭოთა მთავრობისას, არაფერი გარემოება ხელს არ შეუშლის ორთავე ქვეყნის მეგობრულ განწყობილებას.

ბერლინი. 8 სექტემბერი. ჰუმანიტეს სპეციალურმა კორესპოდენტმა მადრიდიდან გვ ცნობა, რომ ბილბაოში იქეთქა რევოლიუციონურმა მოძრაობამ ბილბაოში გამოცხადებული იყო საყოველთაო გაფიცვა, რომელიც პირველად მშვიდობიანად მიმდინარეობდა. გუბერნატორმა დაატყვევა 12 კომუნისტ-სინდიკალისტი, მათ შორის მუშათა ბელადი პერესსოლისი. ტრამვაის სამსახურსა და მუშაობას ელექტრონის სადგურში ეწევიან სალდათები. მოხდა შეტაკება პოლიციასა და გაფიცულთა შორის. არის დაჭრილ-დახოცილნი. მთავრობის ცნობა აღნიშნავს, რომ ნაციონალური კავშირები მუშებისა გამოდიან კომუნისტებთ... შეთანხმებით. ხდება მასიური დატყვევ... ბანი. სახალხო სახლი დახურეს. ბ... ბოში სიცოცხლე მოლდუნდა, მოძრაო... და ვაჭრობა სრულიად შესწყდა. თი... ქმის ძალა-უფლებაც პესიმისტურად უყურებს გაფიცვის შედეგს, რომელიც მოედო მადაროებსაც, სადაც მთელი მუშაობა შესწყდა ბილბაოში გაფიცვის კომიტეტის დატყვევების გამო თვითონ მადრიდში ბურჟუაზიული წრეები სცდილობდნენ მისი მნიშვნელობის შემცირებას. ახლა კი ბურჟუაზიული პრესა მადრიდისა შიში გამოსთქვამს, რომ გაფიცვა შეიძლება გავრცელდეს არა მარტო პროვინციაზე, არამედ ის შეიძლება მოედოს მთელს სახელმწიფოს. პროფესიონალურ კავშირში იზრდება პროტესტი მაროკოს ავანტიურის წინააღმდეგ.

ვენა. მადრიდიდან მიღებულ ცნობების მიხედვით (4 სექტემბერს) მუშათა კავშირებმა პროვინცია ბისკაისა, სადაც ძლიერ განვითარებულია რევოლიუციონური მოძრაობა, გამოაცხადეს გაფიცვა მაროკოს ომისა წინააღმდეგ. პროტესტის ნიშნათ. („პრავდა“ № 202).

ვენა. 11 სექტემბერი. მილანიდან მიღებულ ცნობის მიხედვით გრძელდება გაფიცვა სართავ-საქსოვ ქარხნების მუშებისა ბერგამოში, ტარნში და ფლორენციაში. (მოსკ. პრავდა“).

ერთა ლიგაში.

რომი. (რადიო) ერთა ლიგის საბჭომ ერთა ლიგის შემადგენლობაში მიიღო ლიტვა, ესტონეთი და ლატვია.

ინგლისის ესკადრა.

ოდესა. (რადიო). ოდესაში მოსული მეზღვაურები გადმოგვცემენ, რომ სექტემბრის 10-ს, კონსტანტინოპოლის ნავთსადგურში შევიდა დიდი საზღვაო ესკადრა, ბრიტანეთის სამხედრო გემებისა, 30 სამხედრო ერთეულის შემადგენლობით, მათ რიცხვში რამდენიმე დრედნოუტი, ბრონენოსცები და კრეისერები.

ფასები საქართველოში.

ოდესა. (რადიო) საქართველოში ფასების დაცემა, განსაკუთრებით ფართლეულობაზე, კონსტანტინოპოლში ხსნიან, როგორც საქართველოს საზოგადო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ანატოლიაში

რომი (რადიო). ოსმალეთის ჯარები განაგრძობენ წინსვლას. მათ დაიკავეს მნიშვნელოვანი პოზიციები. ოსმალები ასრულებენ ბერძნების ჯარის შემოსეტყუილად დასახულ გეგმას.

სოციალისტები იმარჯვებენ

სტოკჰოლმი (რადიო). შვეციის პარლამენტში არჩევნების დროს უმეტესი ადგილი მიიღეს სოციალისტებმა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა